315/3-114/19 2 21012019

315/3-114/19
21-01-2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
მამუკა ბახტაძეს

ბატონო მამუკა,

2010 წლის 10 აგვისტოს 229-ე დადგენილებით საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების წარმოების, საქართველოში ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშის წარმოებისა და საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების წარმოების წესები.

საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ბოლო შეფასება გამოქვეყნდა 2013 წლის იანვარში და მას შემდეგ არ გამოქვეყნებულა. შესაბამისად, მოკლებული ვართ, შევაფასოთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგები მისი ეფექტურობის თვალსაზრისით.

2017 წლის 24 აპრილს მივმართე პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, უზრუნველეყო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან აღნიშნული დოკუმენტის მიღება, თუმცა ეს ვერ მოხერხდა.

2017 წლის 18 მაისის 01/31527 წერილით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მაცნობა შემდეგი:

“საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ანგარიში მომზადდა ორჯერ 2009-2010 წლებში და 2012-2013 წლებში. ... 2016 წელს, მესამე ანგარიშის მომზადებისას, ინდიკატორებით მიღებული ინფორმაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ქვეყნაში მიმდინარე რეფორმების უკეთ შესაფასებლად უმჯობესი იქნებოდა ორწლიანი ტენდენციების გამოყენება, რათა უფრო სარწმუნოდ და დამაჯერებლად მომხდარიყო მიმდინარე შედეგების ახსნა.

როგორც მოგეხსენებათ, 2014 წლის დასაწყისში განხორციელდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხოლო სექტემბერში კი საპენსიო ასაკის, ბავშვებისა და შშმ პირების ინტეგრაცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, ამიტომ ამ წლის მონაცემებით პროგრამის და მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ფინანსურ დაცულობაზე მის ზეგავლენასთან დაკავშირებული ეფექტიანობის შეფასება

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული (მით უმეტეს, რომ აღნიშნულ გადაწვეტილებას ამყარებს ექსპერტთა მოსაზრებები და სტატისტიკური მეთოდები). შესაბამისად, **<u>ანგარიში დასრულდება 2017 წლის ბოლოს</u>**, მასთან ერთად, გაანალიზებული იქნება ორი წლის 2015-2016 წლის ტენდენციები და მიღებული შედეგები იქნება სტატისტიკურად სარწმუნო."

2018 წლის 19 თებერვლის 1837/07-4 წერილით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოვთხოვე საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების მესამე ანგარიში, რის პასუხადაც, 2018 წლის 7 მარტის 01/13510 წერილით სამინისტრომ მაცნობა, რომ საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების მე-3 **<u>ანგარიშზე მუშაობა დასრულდება მაისში</u>**.

2018 წლის 4 ივნისის N 5757/07-4/18 წერილით აღნიშნული დოკუმენტი კვლავ მოვითხოვე საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების მე-3 ანგარიში, თუმცა პასუხი არ მიმიღია, რითაც დაირღვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული 10 დღის ვადა.

ბატონო მამუკა,

მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2018 წლის 22 ივნისს მოგწერეთ 6435/07-4/18 წერილი, რომლითაც გაცნობეთ ზემოაღწერილი მდგომარეობა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მაცნობა შემდეგი:

"თქვენი მიმდინარე წლის 4 ივნისის N5757/07-4/18 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოში ჯანდაცვის სისტემის შეფასების მესამე ანგარიშზე (HSPA) მუშაობა დასრულდება მიმდინარე წლის ბოლოს. როგორც მოგეხსენებათ, ანგარიშში გამოიყენება "ჯანდაცვის სერვისების უტილიზაციისა და დანახარჯების კვლევის (HUES)" შედეგები (7 ინდიკატორი). აღიშნული კვლევის მეოთხე რაუნდი 2017 წელს ჩატარდა გლობალური ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. კვლევის შედეგების ანგარიში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერედგინება მიმდინარე წლის სექტემბერში."

იმედი მაქვს, სამინისტრომ დაასრულა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების მესამე ანგარიშზე მუშაობა.

კვლავ ხაზს გავუსვამ, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის 2017 წლის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოაღნიშნული დოკუმენტის გამოქვეყნებასა და განხილვას. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ბანკის 2017 წლის ივნისის დოკუმენტმა GEORGIA PUBLIC EXPENDITURE REVIEW-მ ცხადად

აჩვენა, რომ არსებული ფორმით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არაეფექტური და ფინანსურად არამდგრადია.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოთ საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების მესამე ანგარიშის მოწოდება.

პატივისცემით,

ზურაბ ჭიაბერაშვილი

პარლამენტის წევრი
ზურაბ ჭიაბერაშვილი